ხუთშაბათი, 1918 წ. მაისის 30 № 104

ხუთშაბათი, 1918 წ. მაისის 30 № 104

წლიწადი მეოთხე

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე—[illegible]

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია ავტორთან მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

კ ო ნ ტ ო რ ა

პირველ აპრილიდან ხელის მოწერის პირობები მხოლოდ სამი თვით და ღირებს—18 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 30 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 60 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხანგრძლივათ განცხადება თითოეული ზომით: 20×2—15 მანეთი, 30×2—20 მანეთი. მიცვალებულის გამოცხადება ღირს ქაღალდში 1 მან. ქაღალდგარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. სასწრაფო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

ცნობები:

გერმანიის მთავრობამ ფოთის კონსულად დანიშნა ბ. ედგარ ანდერსი, აზრუმის ყოფილი კონსული.—თბილისში საალყო წესები გამოცხადდა.—აზერბეიჯანის დამოუკიდებლობა გამოცხადდა. მთავრობის თავმჯდომარედ ხანი-ხოელი აურჩევიათ.—თბილისში შულინბურგი ჩამოვიდა 25 აფიცრით.

მშვიდობიანი გზით

ოსმალეთის საზავო დელეგაცია, როგორც სჩანს, ნაკლებად უწევს ანგარიშს იმ პოლიტიკურ ცვლილებებს, რომელნიც წარმოშვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ. ის ულტიმატუმი, რომელიც ოსმალეთის დელეგატებმა წარუდგინეს ამიერ-კავკასიის დელეგაციას და სადაც სხვათა შორის მოითხოვენ ახალციხის და ახალქალაქის მაზრებს, მათის აზრით სავსებით შეეხება საქართველოს რესპუბლიკასაც. ფორმალურ საბუთებს და მოსაზრებებს ოსმალეთი ანგარიშს არ უწევს. მას, როგორც სჩანს, განზრახული აქვს სავსებით ისარგებლოს იმ მისთვის ფრიად სასარგებლო მდგომარეობით, რომელიც შექმნილია ჩვენში. მოსალოდნელი კი იყო, რომ ოსმალეთი მეტს ანგარიშს გაუწევდა დამოუკიდებელ საქართველოს. რასაკვირველია, დამოუკიდებლობის გამოცხადებას თავის თავად არაფერი შეუმატებია იმ ძალებისათვის, რომელნიც მოქმედობდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ. მაგრამ იმ აქტით, რომლითაც საქართველო სრულიად გამოეყო რუსეთს და ამიერ-კავკასიას და საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრება დაადგინა, ოსმალეთის საზღვარზე ახალი ძალთა განწყობილება დამყარდა.

საქართველო მეტად სუსტია ამჟამად და ოსმალეთსაც შეუძლიან მას ბევრი რამ წაართვას. მაგრამ საქართველოს ასეთი მდგომარეობა წარსულშიც მრავალჯერ განუცდია და ჩვენ არავითარი საბუთი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ ის ეხლანდელ უძლურებას ვერ აიტანს.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ ოსმალეთი აქედანვე ისეთს განწყობილებას დაიჭერდა საქართველოსთან, რომ დიდი ხნით უზრუნველყოფილი იქნებოდა მშვიდობიანი და მეგობრული განწყობილება პატარა საქართველოსა და ოტტომანთა იმპერიის შორის. ოსმალეთმა კარგად უწყის, რომ ქართველებს მასთან ზავი და მშვიდობიანი განწყობილება სწყურიან. და ეს არა მარტო მისი სისუსტითაა გამოწვეული, არამედ იმ რწმენით, რომ მხოლოდ ოსმალეთთან ასეთის ურთიერთობით შეუძლიან მას უზრუნველ ჰყოს თავისი ეროვნული განვითარება.

ყოველივე, რაც კი საჭირო იყო ოსმალეთისთვის მისი სამხედრო მდგომარეობის უზრუნველსაყოფად და რუსეთის მხრივ საზღვრების განსამტკიცებლად, ოსმალეთს უკვე წაღებული აქვს. ჩვენ ვფიქრობდით, და ასეთი იყო ოსმალთა პასუხისმგებელ პირთა რწმუნება, რომ ამაზე შორს არ უნდა წასულიყო საქართველოს შევიწროვება. როგორც ცხადი ირკვევა, ოსმალეთში გაუმარჯვია იმ უკიდურეს მიმართულებას, რომელიც სრულიად არ კმაყოფილდება ბრესტის ხელშეკრულობის მიჯნით და თუ ამ ქვეყნად შესაძლებელი იქნა, ახალს ანექსიებსა და ოკუპაციებს მოითხოვს.

ასეთ მდგომარეობაში აღდგენილი საქართველო ფრიად სახიფათო მდგომარეობას განიცდის. ოსმალეთმა შეიძლება არ გაუწიოს ანგარიში აღდგენილ საქართველოს იურიდიულ უფლებებს და იმ საერთაშორისო აქტებს, რომელნიც შედგენილან თვით ოსმალეთის მონაწილეობით. იარაღს და ძალას თავისი კანონი აქვს, მაგრამ ჩვენ მაინც არ ვკარგავთ იმედს, რომ ოსმალეთის მთავრობა მარტო დღევანდელი მომენტის უპირატესობებით არ იხელმძღვანელებს და ისე მოექცევა ახალს სახელმწიფოს, რომ მისი მომავალი თანაგრძნობა და მეგობრული განწყობილება მოიპოვოს.

ოსმალეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარე ხალილ-ბეგი ამიერ-კავკასიის ეროვნულ საბჭოებსა და მათ შორის საქართველოსაც მოსთხოვს იმ მოთხოვნილებების შესრულებას, რომელნიც მან წარუდგინა ამიერ-კავკასიის მთავრობას 26 მაისის ულტიმატუმით.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ოსმალეთის მთავრობა დამოუკიდებელ საქართველოსთან საკუთარივ გაჰმართავს საზავო მოლაპარაკებას ყველა სადავო საკითხების შესახებ. ასეთი მშვიდობიანი გზით სავსებით შესაძლებელი იქნება ისეთი ურთიერთობის დამყარება ამ ორ სახელმწიფოთა შორის, რომელიც სავსებით უზრუნველჰყოფს ოსმალეთის სამხედრო სტრატეგიულ და ეკონომიურ ინტერესებს და საქართველოსაც არ მოუსპობს თავისუფალ განვითარების საშუალებას.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ.

(ერთი გერმანელის წერილი. თარგმანი გერმანულ ხელნაწერიდან)

მსოფლიო ომის დაწყებამდის ინტერესი კავკასიისა და მის მცხოვრებთადმი ევროპაში საზოგადოთ ძალიან მცირე იყო. მართალია, ზოგიერთი ცნობილი გეოგრაფები და გეოლოგები, ეთნოგრაფები, ენათა მკვლევარნი და ისტორიკოსნი, მგოსნები და მწერლები, კერძო მკვლევარ-მოგზაურნი და ზოგიერთი სამეცნიერო წრეები კავკასიის კვლევისა და წერის საგნად იღებდნენ, მაგრამ ფართო საზოგადოებისათვის მაინც კავკასია შეადგენდა უზარმაზარ რუსეთის ნაწილს, რომელზედაც ძალიან გაურკვეველი წარმოდგენა იყო გავრცელებული.

კავკასიის ნაწილები ყოველთვის არ იყვნენ დაშორებული ევროპის კულტურას. სახელდობრ სხვაგვარი იყო გარემოება, ვიდრე მონღოლ-თათართა ბატონობა წარმოსდგებოდა და ვიდრე ოსმალთა ძალა მცირე აზიიდან ევროპას მოაწყვეტდა. სანამ ბიზანტიის სახელმწიფო და ტრაპიზონის ბერძნული იმპერია არსებობდნენ, საქართველოს ნავთსადგურებიდან დაწყებული დასავლეთის კულტურის შუაგულამდის გაუწყვეტელი ხიდი იყო გადებული. მე-14 და მე-15 საუკუნის მოგზაურთაგან დარჩენილია აღწერილობანი, საიდანაც სჩანს ძველ საქართველოს სამეფოს აყვავება, რომელიც თუმცა [illegible] თავდასხმისაგან იტანჯებოდა, მაგრამ წელში სწორდებოდა და სიცოცხლის ძალის მქონე სახელმწიფოს წარმოადგენდა.

ჩინგიზ-ხანის [illegible] კავკასიის ჩრდილოეთისაკენ რუსებმა დაიპყრეს. ამათ ყოველი ღონისძიება იხმარეს, რომ კავკასიის კავშირი და ურთიერთობა ევროპასთან გაეწყვიტათ და [illegible] დაავიწყებინებინათ, რომ კავკასიის ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაწილებში უხსოვარ დროიდან თავისუფლებისა და საკუთარ ღირსების პატრონი ხალხები ცხოვრობდნენ, რომელთაც რუსეთში გადაგვარება სრულებითაც არ მიაჩნდათ თავის აბსოლუტურ მიზნად.

მხოლოდ ამ სოფლიო ომმა გამოარკვია ყველას, რომ თვითმპყრობელობის რუსეთი ეროვნულად შეუდუღებელ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელშიაც გაბატონებული ხალხი ველიკორუსები უმრავლესობასაც კი არ შეადგენდა. საზოგადოდ რუსეთში მცხოვრებ უცხო ერთა საკითხის წამოყენებისათანავე გაიზარდა ინტერესი იმ მრავალ პრობლემებისადმი, რომელსაც კავკასია წარმოადგენს.

კავკასიის შესახებ პოლიტიკურმა საკითხებმა ფართო საზოგადოებრივი აზრი მიიპყრეს ქ. ლოზანაში 1916 წლის ზაფხულში გამართულ „ერთა კონგრესის" გამო, რომელიც თვითმპყრობელობის რუსეთის წინააღმდეგ დიდ მანიფესტაციას წარმოადგენდა. ამ კონგრესზე იყვნენ, რამდენადაც საქმე კავკასიას შეეხება, წარმომადგენელნი ქართველთა, კავკასიის თათართა, მთიულთა, დაღესტნელთა, ნოღაელთა და სხვ. იმ მოხსენებათ, რომელნიც იმათ გააკეთეს, დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს. [illegible] ლოზანის კონგრესზე წარმოდგენილ თეზისების გამო და ასე კავკასიის საკითხები ირკვეოდა მრავალ ჟურნალ-გაზეთების სტატიებში, ნაწერებში და წიგნაკებში.

გერმანიაში უკვე ამ კონგრესზე ადრე მთელი წყება ქართველ პატრიოტებისა ცდილობდნენ თავის სამშობლოს სასარგებლოდ საზოგადოებრივი თანაგრძნობა შეექმნათ. მათ აქ ჰპოვეს კიდეც ამისათვის კეთილი განწყობილება და დახმარება. პირველად ყურადღება იქნა მიქცეული გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთში მყოფ ქართველ ტყვეებზე. როგორც გერმანიის, ისე ავსტრია-უნგრეთის მთავრობამ გაიზიარა ის შეხედულება, რომ ქართველები გერმანიის მტრებად არ იყვნენ მისაჩნევი, რომ ისინი ომში მხოლოდ რუსეთის იმპერიალიზმის ძალდატანებას ემორჩილებოდნენ. ამიტომ ქართველ ტყვეებს შეღავათიანი მოპყრობა მიეცათ; მათვე მიეცა შეძლება სხვა და სხვა გვარ სახელოსნო წარმოებაში პრაქტიკულის საქმიანობით ცოდნა შეეძინათ; მათვე აძლევდენ საკითხავ მასალას ქართულ ენაზე და ნება დართეს აგრეთვე თავიანთი მიწერ-მოწერა ქართულ ენაზე ეწარმოებინათ.

ამ უკანასკნელ გარემოებას პირველ ხანებში დიდი დაბრკოლება ხვდებოდა წინ, რადგანაც გერმანიაში ქართულის მცოდნენი მცირედ მოიპოვებიან. მაგრამ ერთის დაწესებულების—ბერლინის „აღმოსავლეთის ცნობათა ბიუროს" (Nachrichtenstelle jür Orient) საშუალებით, სადაც გავლენიანი პრაქტიკული მცოდნენი აღმოსავლეთისა და ცნობილი მეცნიერები შეერთდნენ, რათა გერმანიასა და აღმოსავლეთს შორის ურთიერთის გაგება და დაახლოვება გაადვილებინათ, ეს დაბრკოლებაც ძლეულ იქმნა. რომ ქართველი ტყვეები გერმანიაში, მიუხედავად ომიანობის დროის აუცილებელ მრავალგვარ ნაკლებობისა, საზოგადოდ ცუდად არ ცხოვრობდნენ, სჩანს მათი წერილებიდან, რომლებსაც ისინი სამშობლოში გზავნიდნენ. ამის დამამტკიცებელი საბუთები [illegible] მოიპოვება „ქართულ გაზეთშიაც", რომელიც გერმანიაში იბეჭდება. ჯერ-ჯერობით ეს ერთად ერთი გაზეთია ქართულ ენაზე დაბეჭდილი დასავლეთ ევროპაში.

ეს ორგანო, რომელიც გამოიცემის „აღმოსავლეთის ცნობათა ბიუროს" დახმარებით გიორგი კერესელიძის ხელით, თავდაპირველად მარტო ქართველ ტყვეებისთვის იყო დანიშნული. დასაწყისში იგი იბეჭდებოდა ფოტო-ლიტოგრაფიულად ამ სათაურით: „კავკასია", იყო მცირე ფორმატისა და ეგზავნებოდა მხოლოდ ქართველ ტყვეებს გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთში. მაგრამ ნელ-ნელა მოხერხდა ქართული ასოების და ასოთაწყობის მოწყობა, მკითხველთა წრის გაზრდა და გადიდებულ ფორმატისა და კარგ ქაღალდზედ ნაბეჭდ ორგანოდ გადაქცევა გაზეთისა, რომელიც თვეში ორჯერ გამოდის და ყველა ცენტრალ და უცხოეთის ნეიტრალ სახელმწიფოებში ვრცელდება. გერმანიაში აზრად აქვთ, თუ გარემოებამ ხელი არ შეუშალა, გაზეთის გარდა წიგნებიც გამოსცენ ქართულ ენაზე. უნდა ვიმედოვნოთ, რომ გერმანიისა და კავკასიის შორის კავშირი მალე განმტკიცდება და უზრუნველყოფილი იქნება და შესაძლებელი გახდება „ქართულმა გაზეთმა" კავკასიაშიაც მოაღწიოს და კავკასიის გავლენიან პუბლიცისტებისაგან სტატიებიც მიიღოს, საიდანაც დასავლეთ და შუა ევროპაში მყოფი ქართველები და განსაკუთრებით ქართველი ტყვეები სამშობლოში მყოფ თანამემამულეთაგან გაიგებენ, თუ რა მდგომარეობაა მათს სამშობლოში.

„ქართული გაზეთის" გამოცემასთან ერთად მისწრაფება იქითკენ იყო მიმართული, რომ გერმანიაში კავკასიისადმი ინტერესი გაეღვიძებინათ. ერთი წყება ქართველ და გერმანელ წრეთა წარმომადგენლებისა შეერთდა და დაარსა „გერმანულ-ქართული საზოგადოება", რომელმაც მალე ფიცხელი მოქმედება გააჩაღა. სახელოვანი სწავლულები, როგორიცაა საერთაშორისო უფლების მოძღვარი ლისტი, ბერლინის საეთნოგრაფიო მუზეუმის დირექტორი ონზგე, ისტორიკოსი ედუარდ მეიერი, ხელმძღვანელი პოლიტიკოსები [illegible] ყველა პარტიისა, გავლენიანი პირები სოციალისტთა წრეებისა, პრესისა, ხელოვნების და მწერლობისა შეუერთდნენ ამ საზოგადოებას. მრავალი ლექციები იქნა წაკითხული, სადაც როგორც კავკასიელი ლექტორები, ისე გერმანელები კავკასიის საკითხებს არკვევდნენ და ამ საკითხებისათვის ფართო წრეებში ინტერესსა და ცნობისმოყვარეობას აღვიძებდნენ. ამავე დროს ერთი საინფორმაციო ბიუროც იქნა დაარსებული, რომელიც სამეცნიერო წრეებს კავკასიის შესახებ ცნობებს აწვდის.

თუ ყველა ამგვარ მუშაობას საკმაო ძალები აღმოუჩნდნენ გერმანიაში, ეს უნდა მივაწეროთ გერმანიის მთავრობის კეთილ განწყობილებას, რომელმაც კავკასიელები, რამდენადაც ისინი თავიანთ ეროვნულ მისწრაფებათა ნიადაგზე იდგნენ და თავს რუსებად არ თვლიდნენ, მტრად უცხოელებად არ მიიჩნია გერმანიაში. ამიტომ კავკასიელ სტუდენტებს ნება მისცეს განაგრძონ სწავლა გერმანიის სასწავლებლებში და გარდა ამისა [illegible] რამდენიმე ქართველი [illegible] (ბავარიაში) მოათავსეს, [illegible] მიუხედავად იმისა, რომ [illegible] ცხოვრების პირობები გაძნელებულია, ამ ქართველ მოწაფეთა გამოზრდის ხარჯების ნაწილი თვით [illegible] იკისრა. ხსენებული მოწაფენი იქ კარგად სწავლობენ და, მიუხედავად მათი სიმცირისა, ქართველის სახელს სახელოვნად ატარებენ. დანარჩენი ნაწილი ხარჯებისა კავკასიის მეგობარ გერმანელთაგან იქნა გაღებული. ამასთანავე წარმოშობილია მთელი მოძრაობა, რომელსაც საგნად აქვს იმ ახალგაზრდა ქართველებისთვის, რომელთაც მეცნიერული და პრაქტიკული განათლება და ცოდნა სურთ შეიძინონ, სტიპენდიები იქნეს დაარსებული.

გერმანიის პრესაც ომის განმავლობაში ყურადღებას აქცევდა კავკასიას. გარდა მრავალ წერილებისა, რომლებიც დღიურ პრესაში დაბეჭდილა კავკასიის საკითხების შესახებ, პირველ ადგილს უნდა უჭერდეს ჟურნალი „Der Neue Orient" („ახალი აღმოსავლეთი"), რომელიც გამოდის 1 აპრილიდან 1917 წლისა და კავკასიას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. აქ იბეჭდებოდა პოლიტიკური წერილები გიორგი მაჩაბლისა, მიხეილ წერეთლისა, ჰ. [illegible], ჰან. [illegible]ტისა და სხვათა, აგრეთვე მოკლე ცნობები კავკასიის ცხოვრებიდან და სამეცნიერო წერილები კავკასიის შავი ქვის მადნებზე, ნავთის წარმოებაზე, სავაჭრო მეთოდებზე კავკასიაში, კავკასიის წიფლის ტყეებზე, მაშის წარმოებაზე და სხვ. ყველა ამგვარი წერილებით გერმანიის საზოგადოებას ძვირფასი მასალა მიეცა კავკასიის გასაცნობად და, მიუხედავად მოწყვეტილობისა, გერმანია ჩინებულად ეცნობოდა და იცნობდა კავკასიის მდგომარეობას.

„ახალ აღმოსავლეთს" თავის ადრინდელობის საგნად აღებული აქვს მთელი აღმოსავლეთი,—მაროკოდან დაწყებული დასავლეთში—იაპონიამდის

ბლმოსავლეთში და სუდანიდან—ვოლგისა და კამის რაიონის თათრებამდის ამიტომ მასში არის წერილები კავკასიის მაჰმადიანების შესახებაც. ეს ელემენტებიც არ ყოფილან დავიწყებული გერმანიაში. გერმანიაში დიდის კმაყოფილებით ადევნებენ თვალყურს იმ გარემოებას, რომ ბაქოს თათრებს ისე, როგორც მთიულებს კარგი განწყობილება აქვთ მეზობელ საქართველოს ქრისტიანებთან და რომ ყველა ნაწილებს ერთი სახელმწიფოს დაარსება სურთ, რომელშიაც თითოეულ ხალხს თავისი თავისებურობის დაცვა და სამართლიან მისწრაფებათა განხორციელება შეეძლება და რომელიც მთლიანი ერთეულის წარმომადგენელი იქნება და ამიტომ მთელის კავკასიისთვის გარეთ გავლენას უფრო მეტად უზრუნველ ჰყოფს, ვიდრე ეს თითოეული მათგანისთვის ცალ-ცალკე შესაძლებელი იქნებოდა.

მაჰმადიან კავკასიელებსაც გერმანია შეძლებისდაგვარად ყურადღებას აქცევს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ისინი კავკასიის ხალხებს ეკუთვნიან, და მეორეც,—რადგან ისინი მაჰმადის რჯულს აღიარებენ და ამიტომ გერმანიისაგან, ვითარცა სულთანის მოკავშირისაგან, განსაკუთრებულ კეთილგანწყობილებას უნდა მოელოდნენ. თუ რა გაკეთებულა გერმანიაში ამ ომის დროს რუსეთის მაჰმადიანობისათვის, ამის დაწვრილებით მოთხრობა შორს წაგვიყვანს. საკმარისია მოვიხსენიოთ, რომ გერმანიაში რუსეთის მაჰმადიან ტყვეებს, ისე როგორც მათს ჩრდილო აფრიკისა და ინდოეთის ერთმორწმუნეებს, განსაკუთრებულად ეპყრობიან. იმათთვისაც იბეჭდება თათრულ ენაზე გაზეთი, თათრულადვე შეუძლიანთ მათ მიწერ-მოწერა სამშობლოში და ჰყავთ მიჩენილი მაჰმადიანი მოძღვარნი მათ სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. გერმანიაში მყოფ ახალგაზრდა თათრებს უადვილებენ განათლებას და განვითარებას. შემდგარია კომისია, რომელმაც გერმანიაში მოსწავლე თათარ სტუდენტებისათვის რამდენიმე სტიპენდია დააარსა.

და ასე, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ როგორც კი მშვიდობიანი ურთიერთობა დამყარდება, გერმანიისა და კავკასიას შორის გონებრივსა და ნივთიერს სარბიელზე გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა განვითარდება, რისგანაც ორთავე მხარეს დიდი სარგებლობა ექნება. კავკასიის მცხოვრებთ შეუძლიანთ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იმათს მისწრაფებას გერმანიაში კეთილგანწყობილებით ხვდებიან და ნორჩ სახელმწიფოს არსებას, რომელიც კავკასიის ნიადაგზე წარმოსდგა, წარმატებულსა და მშვიდობიერ განვითარებას უსურვებენ.

ფინანსიური პოლიტიკა

ჩვენი ეკონომიურ ცხოვრების ღირებულებათა ტრიალის გასაადვილებლად თითქმის არაფერი არ გაუკეთებია ამ.-კავკასიის მთავრობას. მისი ბონები აკმაყოფილებენ მხოლოდ ღირებულებათა ტრიალის სულ მცირე ნაწილს: მსხვილ საფინანსო ოპერაციებს, რომლისათვის იმ 50, 100 და 250 მანათის ღირებულების ნიშნებს კიდევ შეუძლია ერთგვარი სამსახურის გაწევა. მთავრობას ალბად იმედი ჰქონდა სახალხო მეურნეობაში კიდევ დარჩენილ წვრილ ფულისა ნიკოლოზისა და კერენსკის დროისა. ამ ფულს უნდა გაეწია თავისი ძველებური სამსახური მთავრობის აზრით. მაგრამ თუ მსხვილ საფინანსო ოპერაციებისათვის, მსხვილ წარმოებისათვის საჭიროა უკვე არსებულ ღირებულებათა ნიშნების ყოველდღიური გამრავლება, მით უფრო ძალზე საჭიროა ეს წვრილ წარმოებათა და წვრილ საფინანსო ოპერაციებისათვის, რადგან ეს უკანასკნელნი თავისი მასიური ხასიათით, მთელს ხალხზე განაწილებულ მოთხოვნილებათა რაოდენობით აუცილებელ საჭიროებასა ჰქმნის წვრილ ღირებულებათა ნიშნების შექმნისათვის. ეს საჭიროება იმდენად ძლიერი იყო და არის, რომ მთავრობა იძულებული იყო გამოეცა 5 და 10 მანათიანი ღირებულების ნიშნები. აქ მოხდა საინტერესო მოვლენა. იმის და მიუხედავად, რომ მთავრობა ბეჭდავდა დაახლოვებით მხოლოთ 50 პროცენ. ბონების საჭირო თანხისას, მიუხედავად იმისა, რომ ბაზარი მწვავედ ჰგრძნობს გაცვლა-გამოცვლის საშუალების, ღირებულებათა ნიშნების ნაკლებობას, ამიერ-კავკასიის ბონების რეალური ღირებულება თანდათან იკლებს მის ნომინალ ღირებულებასთან შედარებით. გარდა ოქროს ფონდის უქონლობის, პოლიტიკურ სიტუაციისა და საზოგადოების მთავრობისადმი განწყობილების გარდა ამის მიზეზი იყო მთავარი შეცდომა მთავრობისა: თუ მიჩნეულ ქვეყნის ტერიტორიაზე ერთი ვალიუტაა, იქ სხვა სახელმწიფოს ვალიუტა კანონიერი აღარ უნდა იყოს. დღიდან ბონების გამოშვებისა სახელმწიფო ფულად მხოლოდ და ბონები უნდა ყოფილიყო. მაგრამ მთავრობამ ბონების გვერდზე სხვა ფულს ავითონ აკუთვნა პრიორიტეტი მისი საერთო ტრიალში დატოვებით და ისიც კიდევ წვრილ ნიშნებით. ამით ძალაში შევიდა ცნობილი კანონი, რომ სადაც ორგვარი ფულის ვალიუტაა, ღირებულებათა ორგვარი ნიშნები ტრიალებს, იქ საერთო ტრიალში რჩება ნაკლებად ნაკლები ხარისხის ნიშნები. ჩვენში იმ თავითვე დანაწილდა ფულის ღირებულება შემდეგ ხარისხებათ: ეგრედ წოდებული ნიკოლოზისა ე. ი. ძველი მთავრობის, კერენსკისა და ბოლოდ შემდეგ ამ.-კავკასიის ბონები. საერთო ტრიალში თანდათან რჩება მხოლოთ და ბონები. დანარჩენი თანდათან ისპობა ბაზარზე. ამას ხელი შეუწყო მთავრობის განკარგულებამ რკინის გზებისა და სხვ. პუნქტებზე მოითხოვონ ნაღდი ფული ე. ი. ნიკოლოზ-კერენსკისა, რადგან ჩრდილო კავკასიაში პურის ნაცვლათ მხოლოდა ამ ფულს ღებულობენო. ამას თან დაერთო მოგზაურთა და ლტოლვილთა თავშეუკავებელი მისწრაფება ბონების რუს ფულათ გადახურდავებისადმი. შექმნა ფულით ფულზე ვაჭრობა. გადახურდავებას %% ადის 30%-მდე. ტრამვაის თუ სხვ. წარმოების მოხელენი, სადაც ნაღდი ფული იყრის თავს ძლიერ გაიტაცა ამ მიზეზებიან საქმემ და დღიურ შემოსავალს ტრამვაის ამა თუ იმ შტოზე ახურდავებენ მსხვილ ბონებზე %%-ების მოგებით. თუ თბილისსა და სხვ. შიდა პუნქტებში ასეთ ჩვენდა საზარალოთ უპირისპირებენ ბონებსა და რუსეთის ფულსა, რა გასაკვირველია, თუ დუშეთის მაზრაში, თიანეთში, ჩვენს მთაში, რომელიც ეკონომიურად, ვაჭრობის მხრივ დაკავშირებულია კავკავთან, რომელსაც ჩვენთვის: კახეთ-ფშავ-თუშეთისთვის და თვით ქართლისთვისაც აურაცხელი მნიშვნელობა აქვს, რა გასაკვირველია, თუ ამ რაიონებში ბონებს არ ღებულობენ და მხოლოდ იმ ფულს ეტანებიან, რომელსაც კავკავში და საზოგადოდ ჩრდილოეთში გასავალი აქვს. ასეთი დაქვეითება ბონების ღირებულებისა დიდ საფრთხეს უქადის ჩვენს ეკონომიკას. განსაკუთრებით დაზარალდება ისევ ჩვენი დემოკრატია და არა პროლეტარიატი. უკანასკნელი ვერაფერს დაჰკარგავს, რადგან მას არაფერი გააჩნია, მაგრამ ჩვენი დემოკრატია ე. ი. ხალხი ყველაფერს დაჰკარგავს რაც გააჩნია. ჩვენს ხალხს კი უკანასკნელ მთელი საუკუნის განმავლობაში ბევრი დოვლათი აქვს დაგროვილი, რომლის დაცვას ყველაზე უფრო დემოკრატიის ინტერესები მოითხოვს. თუ ბონების და საზოგადოთ ფულის ღირებულება ძალზე დაეცა, მით მსხვილი მწარმოებელი და ფინანსისტი შედარებით ნაკლებათ დაზიანდება და საქონლის ჩქარი გახშირებული ტრიალით გზების გახსნისას ამ ზიანს ერთი ათად აანაზღაურებს, ჩვენი ხალხი—დემოკრატია კი წელ გაწყვეტილი და სამოქმედო ღონე გამოლეული დარჩება. მაშასადამე, ამიერკავკასიის მთავრობა, მისი მოქმედება და მოღვაწეობა დემოკრატიის ინტერესებს, ხალხის გულისთქმას ვერ გამოხატავდა. მისი საფინანსო პოლიტიკა დემოკრატიისათვის საზიანო და არა სასარგებლო იყო, თუმცა პროლეტარიატისათვის შეიძლება სასარგებლოც ყოფილიყოს, რადგან პროლეტარი არაფერს აგროვებს, არაფერს ინახავს და მისი დღიური ხელფასი ყოველთვის შეიძლება შეეფარდოს ფულის ცვალებადობას. მაგ. მილიციონერი, რომელიც ძალიან საჭირო დამცველია მოქალაქეთა ქონებისა თვეურათ 400—500 მან. ღებულობს. ასოთ-ამწყობი დღიურათ ხშირად 30—40 მან. ღებულობს. თერძი კი 50 მან. არ კმაყოფილდება. მანეთის ფასი $1/_{10}$ კაპეიკამდეც რომ დავიდეს და ეს ოფიციალურათ გამოცხადდეს, ყოველი გადასახადი ამ ანგარიშით აიწევს, უცხოეთთან დამოკიდებულება ამ ნიადაგზე იწარმოებს, პროლეტარს ეს არაფერს დაუშავებს საბოლოოთ. ის თავის მოთხოვნას შეუფარდებს ამ კანონს. ხალხი ე. ი. დემოკრატიამკი საშინლად დაზარალდება, მთელი მისი ნამუშევარ-ნაამაგარი განიავდება. პროლეტარიატისა და ხალხის ანუ დემოკრატიის ინტერესები არა თუ ერთი და იგივე არ არის, ერთი მეორეს ეწინააღმდეგება კიდეც. და ის მთავრობა ამ.-კავკასიის რესპუბლიკისა, რომელიც აქომამდე მოქმედობდა, მხოლოდ პროლეტარიატული იყო და არა დემოკრატიული. მისი მოღვაწეობა დემოკრატიის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა კიდეც. ის იყო პროლეტარულ-კლასიური და არა დემოკრატიულ სახელმწიფოებრივი.

ჩვენი ფულის სისტემა უსათუოდ გერმანულ მარკის საზომით შეიცვლება თუ ჩვენი ევროპასთან დამოკიდებულება გერმანეთის საშუალებით მოხდა, და ჩვენ გერმანეთის ეკონომიურ კავშირის რკალში შევედით, რაც ჩვენთვის მიუცილებლად საჭიროა. ბალტიის პატარა სახელმწიფოების ფულიც ამგვარად იცვლება. ჩვენმა მთავრობამ ამ თავითვე უნდა გაითვალისწინოს, რა შედეგი მოჰყვება ჩვენი ფულის დაპირისპირებას ევროპის ფულის სისტემასთან.

ტიტე მარგველაშვილი.

ფინანსების სამინისტროს ბრძანება

28 მაისი 1918 წ. № 1.

ა) ყველა განკარგულება ფულის მისაცემად, რომელიც 29 მაისიდან დაისაჭიროებს ამიერ-კავკასიის მთავრობისაგან გადაწყვეტილებას, ნებადართულ უნდა იქნას საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის გიორგი დურმიშხანის ძის ჟურულის ან მინისტრის ამხანაგის კონსტანტინე პლატონის ძის კანდელაკის მიერ. ბ) მოქალაქე თარხნიშვილი თავისუფლდება სახელმწიფო ბანკის კონტორის კომისრის თანამდებობიდან. გ) სახელმწიფო ბანკის კონტორის კომისრად მოწვეულია მინა გიორგის ძე ბერიძე. დ) ინჟინერი გრიგოლ ზაქ. ქურდიანი ინიშნება სახელმწიფო ქაღალდების მომზადების ექსპედიციის კომისრად.

ხელს აწერს: საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი

გ. ჟურული.

ამიერ-კავკასიის სეიმის კანცელარიის გაუქმება

ა) ამიერ-კავკასიის სეიმის დაშლის გამო გაუქმებულ იქმნას კანცელარია. დარჩენილ იქმნან ის მოსამსახურენი, რომელთაც არ მიეცემათ ახალი დანიშნულება, შტატ გარეშე, საზოგადო საფუძველზე, თანახმად რუსეთის რესპუბლიკის დროებით მთავრობის 29 თიბათვის 1917 წლის დადგენილებისა, გაუქმებულ დაწესებულებათა შტატ გარეშე დაკმაყოფილებაზე ამ წლის თიბათვის 1-დან. ბ) ამიერკავკასიის სეიმის და სამეურნეო-განმანაწილებელ კომისიის წევრებს მიეციოთ უფლება, რათა მიიღონ უსაჭიროესი ზომები სეიმის და მის კანცელარიის საქმეთა სალიკვიდაციოდ კვლავ სასახლის და მის ქონების გადაცემისათვის ახალ მთავრობისადმი.

ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე

ნ. ჩხეიძე.

26 მაისი 1918 წ.

ომი

საქართველოს ასპარეზი

26, მაისი 12 საათი.

ახალციხის მიმართულებით ჩვენ ნაწილებს უკან ახევინებენ ადგილობრივი ძალები. ადგილობრივ მცხოვრებლებს აქვთ 2 ზარბაზანი, რომლითაც სდევნიან ჩვენს დახეულ ნაწილებს. დანარჩენ ადგილებიდან ცნობები არ მოსულა.

28 მაისი. 12 ს. ახალქალაქის რაიონში ახალქალაქის მცხოვრებთა რაზმმა ხუთი დღის სასტიკ ბრძოლის შემდეგ 23 მაისს დასტოვა ქალაქი და ჩრდილოეთით უკუ მიიქცა.

კავკასიის ფრონტი.

სომხური ცნობა. 27 მაისი, 12 ს. ყარაკლისის მიმართულებით, ყარაკლისის რაზმში ოსმალებიდან მოვიდნენ პარლამენტერები. ერევნის მიმართულებით მტრის რაზმმა 25 მაისს იერიში მიიტანა ყარაბულახ-ქონდახსაზ-მელიქ-ქენთის ასპარეზზე. ჩვენი ცხენოსანი რაზმი შეიპარა ქონდახსაზში, სადაც 30 ასკერი აჩეხა; ამავე დროს მტერი მოვიგერიეთ ტანგაზის დასავლეთით. 11 საათზე მოპირდაპირემ ფეხი მოიმაგრა ქვეითი, არტილერიით და ჩვენი ნაწილები უკუ აქცია. სარდაბადის მიმართულებით სასტიკი ბრძოლაა. თალკი-თაფის მთასთან ოსმალები დიდ წინააღმდეგობას გვიწევენ. საზღვაო მიმართულებით საზავო მოლაპარაკებით დადებული მშვიდობიანობა არ დარღვეულა.

ქრონიკა

თბილისი.

◆ **სასახლის დაცვა.** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ სასახლის დაცვა მუშ. და ჯარ. დეპ. საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს დაავალა, ხოლო უკანასკნელმა—წითელი გვარდიის შტაბს დაავალა. სასახლის კომენდანტის თანამდებობა გააუქმეს, მის მოვალეობას წითელ გვარდიის უფროსი შეასრულებს. სამეურნეო—განკარგულების ნაწილი გადაეცა აღმ. კომიტეტის წევრებს: ბადრიძეს, მუხარანსკის და ჟღენტს. ქიაბრიშვილს დაევალა სასახლის ქონების დაცვა თუ ოსმალები მოვიდნენ.

◆ **ადერბეიჯანის დამოუკიდებლობა.** მაჰმადიანთა ეროვნულმა საბჭომ ყველა სახელმწიფოს საგარეო მინისტრებს ცირკულიარული დეპეშით შეატყობინა, რომ ამიერკავკასიიდან საქართველოს გამოყოფის გამო ადერბეიჯანს ის აცხადებს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად, რომელშიაც შედის ამიერკავკასიის აღმოსავლეთი და სამხრეთი ნაწილები.

◆ **ოსმალეთის მთავარსარდალ ვეხიბ-ფაშამ** გენ. ყორღანოვის დაჭერის ამბის გაგების შემდეგ შეატყობინა ა. ი. ჩხენკელს, რომ ის ძალიან გააკვირვა და დაამწუხრა ამ ამბავმა; მას უკვე გაუცია ბრძანება, რომ თათართა რამდენიმე სოფელში ოსმალთა მზვერავები გაგზავნონ და მთავრობას სთხოვს ამავე მიზნით გაგზავნოს მან იქ გავლენიანი მაჰმადიანები.

◆ **თბილისში ჩამოვიდა გრაფი** შულენბურგი 25 გერმანელი აფიცრით.

◆ **ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგად** დაინიშნა გ. ნ. ნიკოლაძე.

◆ **რკინის გზის მთავარ კომიტეტების თავმჯდომარემ** შემდეგი დეპეშა დაგზავნა: საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და ამის გამო რკინის გზის აღმოსავლეთნაწილის მსახურთა მდგომარეობის გამოურკვევლობის გამო მთავარი სარკინიგზო კომიტეტი სთხოვს მსახურებს თავიანთ ადგილებზე დარჩნენ, ვიდრე მთავარი კომიტეტი საკითხს არ გამოარკვევს და ამის შესახებ არ აცნობებს მათ.

◆ **გადმოხვეწილები.** რკინის გზის უფროსმა გზათა მიმოსვლის მინისტრს შეატყობინა, რომ თბილისის სადგურზე ამ ქამდე 68 ვაგონია ბარგით სავსე. აქედან 80—ბაქოს რკინის გზის მოსამსახურეთა მიერ. რადგანაც ფოთში აურებელმა ლტოლვილებმა მოიყარეს თავი და მათი გაგზავნა ძნელდება, რკინის გზის უფროსი შუამდგომლობს მინისტრის წინაშე ხსენებული ვაგონები დაცლილ იქნეს.

◆ **მიტინგი.** დღეს, მაისის 30 ს, ახალ საკრებულოს (ყოფილი ხარფუხის კლუბი) ჩვენის პარტიის 3 მერაიონის კომიტეტის თაოსნობით გაიმართება დიდი სახალხო მიტინგი. მიტინგი დაიწყება საღამოს სწორედ 5 საათზე.

◆ **„ჯეჯილი“.** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ მორიგი (თებერვლის) ნომერი. ჟურნალში მოთავსებულია ლექსები და მოთხრობები: შიო მღვიმელისა, სიხარულიძისა, ანასტასია წერეთლისა, ჩიტოხი, ინჟ. პიპინაძისა. მშვენიერს შთაბეჭდილებას ახდენს ელენე ვაჩნაძის ესკიზი „სათი [illegible] ბალები“.

◆ **აღმასრულებელ კომიტეტის** ბიურომ ბრძანება გასცა არც ერთი სამხედრო ნაწილი წითელ გვარდიის შტაბის ნებადაურთველად სასახლეში არ შევიდეს.

◆ **აღმ. კომიტეტის ბიურომ** სთხოვა მთავრობას წინადადება მისცეს ბათუმის საზავო დელეგაციის ყოფილ წევრს ექიმ სულთანოვს, რომ 24 საათის განმავლობაში ქალაქიდან განდევნოს, რადგანაც ის ქალაქში ოსმალეთის აფიცრის ტანისამოსში დადის.

ქალაქის საბჭოში

მაისის 27 სხდომა

თავმჯდომარეობს ა. ს. ლომთათიძე. სხდომა იწყება ათის ნახევარზე.

თავმჯდომარის მოხსენება

მოქალაქენო, ხმოსნებო! ნება მომეცით მოკლედ გადმოგცეთ, ის რაც გუშინ მოხდა. ალბად ყველა თქვენგანს ეცოდინება, რომ გუშინ, მაისის 26 სასახლეში ორ დიდ და მნიშვნელოვან აქტის მოწმენი ვიყავით.

პირველი იყო: პირველი სეიმის მიერ თავის რწმუნებულების აყრა და მისი დაშლა, ხოლო მეორე—საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება.

ამიერკავკასიის სეიმი დაიშალა, ვინაიდან უპასუხისმგებლო ჯგუფების მოქმედებით შეიქმნა ამიერკავკასიის ერთა შორის ინტერესების სხვადასხვაობა. ინტერესთა წინააღმდეგობა, ერთა მთლიანობის დარღვევა განსაკუთრებით ბათომში გამოაშკარავდა. ბათომში ჩვენს ოფიციალ დელეგაციის გვერდით გაჩნდნენ რამოდენიმე სხვა დელეგაციები მუსულმან მცხოვრებთა სახელით და დაუწყეს ოსმალეთის დელეგაციას რწმუნება, რომ ისინი არიან ამიერკავკასიის მცხოვრებთა უმრავლესობის წარმომადგენელნი. ამ უპასუხისმგებლო დელეგაციას ხელმძღვანელობდა ექიმი სულთანოვი, რომლის სიტყვას უფრო მეტი გავლენა ჰქონდა, ვიდრე ოფიციალურ დელეგაციას. მათმა გამოსვლამ ჩვენი ოფიციალ დელეგაციის ავტორიტეტი დასცა და მთლიან ამიერკავკასიის სახელით ლაპარაკის საშუალება მოუსპო. ამ სახით ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ამიერკავკასიის მთლიანობაზე ლაპარაკი შეუძლებელი იყო.

ეს ყველაფერი გაითვალისწინა სეიმის ერთ-ერთმა პოლიტიკურ ფრაქციამ და თავს იდვა სეიმის წინაშე საკითხის ასე დასმა: სურს თუ არა მას ასეთ პირობებში არსებობა და თუ არ სურს—განაცხადოს უარი თავის არსებობაზე.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ამიერკავკასიის სეიმმა თავის არსებობაზე უარი განაცხადა და დაიშალა.

მეორე აქტი—ეს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებაა. სეიმის დაშლის შემდეგ საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაქვეყნა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი (თავმჯდომარე კითხულობს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს).

აქტის გამოქვეყნებას დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ და ერთხმად მიიღეს. ამის შემდეგ გამოაქვეყნეს დროებითი მთავრობის შემადგენლობა. შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარის წინადადებით, დამტკიცებულ იქმნა ყველა ის კანონპროექტები, რომლებიც სეიმმა მიიღო და კიდევ რამდენიმე დებულება და საქართველოს ეროვნულ საბჭოს დადგენილება. (კითხულობს დადგენილების ტექსტს). ამ აქტის ძირითად დებულებიდან დაინახავთ, თუ რა პოლიტიკას ადგია საქართველოს რესპუბლიკა უმცირესობით წარმომადგენელ სხვა ერთა მიმართ. აქტის მეხუთე მუხლი პირდაპირ ამბობს: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს. აი ყველაფერი ის, რის განცხადებაც ვალად მიმ ჩნდა საბჭოს წინაშე.

მორიგ საქმეებზე გადასასვლელი ფორმულა.

ხმ. ლ. ა. იშკოვს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით შეაქვს მორიგ საქმეებზე გადასასვლელი შემდეგი ფორმულა. „მოისმინა რა საბჭოს თავმჯდომარის მოხსენება, საბჭო

სალამს უძღვნის საქართველოს რესპუბლიკას. საყოველთაოდ ხმის მიცემით არჩეული ქალაქის საბჭო აცხადებს რომ მხარს დაუჭერს ახლად შემდგარ დროებით მთავრობის ყველა იმ ნაბიჯებს, რომლებიც იქმნებიან დემოკრატიის იდეალების განსახორციელებლად გადადგმული და მოუწოდებს მცხოვრებლებს: შეკავშირდნენ თავისუფლების და რევოლუციით მონაპოვებთა შესანარჩუნებლად.

ა. ნ. ხუდადოვი (ს. რევ.) სოციალ-დემოკრატების მიერ წამოყენებულ ფორმულის წინააღმდეგ მოითხოვს, რომ საბჭო მოხსენების შემდეგ პირდაპირ გადავიდეს მორიგ საკითხებზე.

გ. ი. ხატისოვი (დაშნ.) სომხის დემოკრატიისათვის საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მოულოდნელი იყო. ჩვენ ეს მხოლოდ გუშინ გავიგეთ, ამიტომ არ გვქონდა საშუალება საკითხს მომზადებულად შევხვედროდით. ჩვენ მხარს დაუჭერთ საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის იმდენად, რამდენადაც იგი დემოკრატიის ინტერესების დამცველი და გამომხატველი იქნება.

გრუზენბერგი. ჩვენ ებრაელები აღფრთოვანებით მივესალმებით საქართველოს რესპუბლიკას. ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ ის ერი, რომელმაც მისცა კაცობრიობას დემოკრატიის ინტერესებისათვის საუკეთესო მებრძოლნი,—არ მოკვდება და სხვა ერსაც მეგობრულად გაუწვდის ხელს. ჩვენ ქართველებთან მუდამ კარგად ვგრძნობდით თავს. ეხლაც ჩვენი თავი საქართველოს რესპუბლიკის განუყრელ ნაწილად მიგვაჩნია და მთელს ჩვენს ძალღონეს ქართველებთან ერთად ახალგაზრდა რესპუბლიკის დაცვას მოვანდომებთ.

ხმ. გრ. გ. ვეშაპელი (ლაპარაკობს ქართულად) იგი აცხადებს, რომ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია უერთდება მენშევიკების მიერ წარმოდგენილ ფორმულას. (ხმაურობა. რუსულად, რუსულად. თავმჯდომარე მოუწოდებს წესიერებისაკენ).

ხმ. გრ. გ. ვეშაპელი. აქამდის ქართულად ლაპარაკი ყველას უფლება იყო. დღეიდან კი იგი საქართველოს ყველა მოქალაქის მოვალეობაა. (ხმაურობა... თავმჯდომარე ვეშაპელის ნათქვამს რუსულად სთარგმნის).

ოსმალეთის ულტიმატუმი

თავმჯდომარე კითხულობს ა. ი. ჩხენკელის დეპეშებს და ოსმალეთის ულტიმატუმის ტექსტს. ულტიმატუმი საბჭოს წევრებზე მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს. (ქანდარიდან მოისმის ხმები: „გაუმარჯოს!..")

თავმჯდომარე. ქანდარაზე მყოფ მოქალაქეთ ვაფრთხილებ, რომ ხულიგნურ გამოსვლებს თავი ანებონ (ქანდარიდან: „არა მოქალაქეთ").

შეკითხვები.

ხმ. ა. ნ. ხუდადოვი კითხულობს: ვინ გასცემს პასუხს ამ ულტიმატუმზე. ამიერ-კავკასიის მთავრობა ხომ აღარ არსებობს. 3 დღის განმავლობაში პასუხი უნდა მიიღონ. ეხლა კი ახალი მთავრობაა.

თავმჯდომარე. საქართველოს ტერიტორიის შესახებ პასუხს მისცემს საქართველოს მთავრობა, დანარჩენ ტერიტორიების შესახებ კი ამა თუ იმ ერის ეროვნული საბჭოები.

ხმ. ე. ე. ხანდამოვი კითხულობს, შედის თუ არა საქართველოს საზღვრებში ახალციხის და ახალქალაქის მაზრები? გამოცხადდება თუ არა გერმანეთის პროტექტორატზე საქართველო.

თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ ახალციხის მაზრა შედის საქართველოს საზღვრებში. რაც შეეხება გერმანეთის პროტექტორატს იგი აცხადებს, რომ პროტექტორატის საკითხი არც კი განუხილავთ.

ხმოს. სემენოვი. ქართული ეროვნული საბჭომ უნდა მოიწვიოს თბილისში მყოფი სხვა ეროვნული საბჭოები: ერთად განიხილონ ულტიმატუმი და პასუხი შეიმუშაონ.

ხმ. დ. ნ. მერხალოვი კითხულობს შემოფარგლულია თუ არა საქართველოს საზღვრები?

თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ საქართველოს საზღვრები არ არის შემოფარგლული.

ხმ. დ. ნ. მერხალოვი. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ახალციხის მაზრა ოსმალეთის არა საქართველოს კუთვნილებად.

ქალაქის თავი. უკანასკნელ ულტიმატუმით მდგომარეობა მეტად მწვავდება. ქალაქის გამგეობამ უნდა შეასრულოს თავის მოვალეობა. საჭიროა გამოვნახოთ ყოველივე ღონისძიებანი თბილისის დასაცავად, საქართველოს საზღვრების შესახებ ესჯელობას კი დღეს არავითარი აზრი არ აქვს. თბილისის ტერიტორიაზე უნდა მოქმედობდეს და განკარგულებებს იძლეოდეს ქალაქის საბჭო.

ხმოს. ხუდადოვი. თუ ოსმალები რკინის გზას ჩაიგდებენ ხელში ქალაქსაც დაიპყრობენ. მთავრობამ უნდა მოგვცეს პასუხი თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაში. ქალაქის თვითმმართველობამ შესაფერისი ზომები უნდა მიიღოს.

რეზოლუცია.

მიიღეს შემდეგი რეზოლუცია: „ქალაქის საბჭომ, მოისმინა რა მთავრობის ცნობა ოსმალეთის საზავო დელეგაციის მოთხოვნილების შესახებ, რომლითაც მოითხოვენ ერევნის გუბერნიის ნაწილს, ახალქალაქის და ახალციხის მაზრების ოსმალეთთან შეერთებას და აგრეთვე ოსმალთა ჯარების გადასასხმელად ამიერ-კავკასიის რკინის გზით სარგებლობას, დაადგინა: ოსმალეთის მოთხოვნილების საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მოიწვიოს ამიერ-კავკასიაში მოსახლე სხვა ეროვნებათა საბჭოების წარმომადგენლები. თათბირი ამიერ-კავკასიის რკინის გზით ჯარების გადაჰყვანის საკითხის გადასაწყვეტად. თათბირში მონაწილეობა მიიღოს ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლებმა.

საბჭომ მიიღო სემენოვის წინადადება.

ხმ. გრ. გ. ვეშაპელი. აცხადებს, რომ საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული ფრაქცია თავს იკავებს სემენოვის წინადადების გამო.

შემდეგ საბჭო გადადის მორიგ საკითხების განხილვაზე.

პეტრიწის სახელობის საფილოსოფიო საზოგად.

პეტრიწის სახელობის საფილოსოფიო საზოგადოების დამფუძნებელი კრება გახსნა ს. ჰ. გორგაძემ ქართული უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში, დილის 11 ს. და 15 წუთზე. დაესწრნენ: უნივერსიტეტის რექტორი პეტრე მელიქიშვილი, პროფესორები და ხელმძღვანელნი: ექვ. თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, დიმ. უზნაძე (ინიციატორი), იოსებ ყიფშიძე (ინიციატორი), გიორგი ახვლედიანი, იუსტინე აბულაძე, ინიციატორი გრიგოლ რობაქიძე, ქართულ მუზეუმთა გამგენი: დავით კარიჭაშვილი და მოსე ჯანაშვილი, ბ-ნი ილია ქუნია, სტუდენტები და გარეშე საზოგადოება, სულ 25 კაცამდე. კრებამ „საზოგადოება" დაარსებულად გამოაცხადა, განიხილა და დაამტკიცა წესდების პროექტი და აირჩია 46 ნამდვილი წევრი, სახელდობრ (გვარები ანბანურს რიგზეა დაწყობილი) თბილისში: 1. აბულაძე იუსტინე, ახვლედიანი გიორგი, გიორგაძე გრიგოლ, გოგიჩაიშვილი ფილიპე, 5. გომართელი თუიე ანე, გორგაძე სერგი, ვართაგავა იპოლიტე, ვეფხვაძე ტერენტი, ვირსალაძე სპირიდონ, 10. ვეშაპელი გრიგოლ, თაყაიშვილი ექვთიმე, ინგოროყვა პავლე, კაკაბაძე სარგის, კეკელიძე კორნელი, 15. ლასხიშვილი გიორგი, მარგველაშვილი ტიტე, მელიქიშვილი პეტრე, ნათაძე ლეონ, ნაკაშიძე ილია, 20 ნუცუბიძე შალვა, ჟორდანია ნოე, რამიშვილი ნოე, რობაქიძე გრიგოლ, 25. საყვარელიძე პავლე, უზნაძე დიმიტრი, ფირცხალავა სამსონ, ქიქოძე გერონტი, ღლონტი თევდორე, 30. ყიფიანისა ბარბარე, ყიფშიძე იოსებ, ყიფშიძე დავით, შანიძე აკაკი, ჩხენკელი აკაკი, 35. ცინცაძე კალისტრატე, ჯავახიშვილი ალექსანდრე, ჯაჯანაშვილი არჩილ; თბილისს გარედ: 40 ბერიძე ვუკოლ, დანელია სერგო, მიქელაძე ევსევი, ქიქნაძე დანიელ, წერეთელი ვასილ, ჯაფარიძე ტრიფონ, 46 ჯორჯიკია ნიკოლოზ.

კრებას ჰქონდა მოსასმენი ს. გორგაძის მოხსენება: „ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში" და არჩევა საბჭოსი და სარევიზიო კომისიისა მაგრამ, რადგან დამსწრეთ ყველას სეიმსა და ეროვნულ საბჭოს კრებაზე მიეჩქარებოდათ, ეს ორი საქმე შემდეგი კრებისათვის გადაიდო. აი ტექსტი წესდებისა:

წესდება

„პეტრიწის სახელობის საფილოსოფიო საზოგადოებისა" თბილისში".

(დამტკიცებული დამფუძნებელი კრების მიერ 1918, V, 2 26).

§ 1. საზოგადოების მიზანია ფილოსოფიური ცოდნის გავრცელება ქართველ ერში, კერძოდ—შესწავლა, გამოკვლევა და გამოქვეყნება ძველი ქართულ ფილოსოფიურ ლიტერატურისა.

§ 2. ამ მიზანს საზოგადოება ემსახურება შემდეგი საშუალებით; მოხსენებათა კითხვით, საჯარო ლექციების და კურსების მოწყობით, განსაკუთრებულ საფილოსოფიო ბიბლიოთეკის დაარსებით, სახალხო და სამეცნიერო პერიოდულ და არაპერიოდულ გამოცემებით, საუკეთესო საფილოსოფიო ნაწარმოებისთვის ჯილდოს დანიშვნით და სხვ.

§ 3. საზოგადოების წევრად მიიღება (საბჭოს შუამდგომლობით საზოგადო კრების წინაშე) ყოველი სრულწლოვანი ქართველი და, განსაკუთრებულ შემთხვევაში, არაქართველიც.

§ 4. საზოგადოების წევრი სამგვარია: ნამდვილი, საპატიო და დამხმარე. ნამდვილ წევრად ითვლება მხოლოდ ის ვინც საზოგადოების მიზანს პირდაპირ საკუთარი შრომით ემსახურება; საპატიოდ—ვისაც რაიმე განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის საზოგადოების მიზანთა განხორციელების საქმეში (განსაკუთრებული შრომა ან ნივთიური დახმარება არა ნაკლებ 5000 მანეთისა); და დამხმარედ—ყველა, ვინც რითიმე ხელს უწყობს საზოგადოების მიზანთა განხორციელებას და წლიურად იხდის არა ნაკლებ 5-ის მანეთისა.

§ 5. საზოგადოების ნივთიერ საშუალებათ შეადგენს: საწევრო გადასახადი, შემოწირულობანი, საჯარო ლექციებისა და გამოცემათა შემოსავალი, აგრეთვე მომგებიანი ქაღალდები და უძრავი ქონება.

შენიშვნა. საზოგადოების ფული ნაწილდება: ხელუხლებელ (ყოველი შემოსავლის 5 პროცენ. სპეციალურ და სახარჯო თანხებად.

§ 6. საზოგადოების მართველი ორგანოებია: საზოგადო კრება, საბჭო და სარევიზიო კომისია. საზოგადო კრება სამგვარია: წლიური, ჩვეულებრივი და საგანგებო, რომელნიც მოიწვევიან საზოგადო წესით.

შენიშვნა 1. წლიურ კრებად ითვლება ყოველი წლის მაისის კრება, რომელიც დანარჩენ კრებათაგან განირჩევა მხოლოდ მით რომ მასზე განიხილვის საზოგადოების წლიური ანგარიშები და წარმოებს თანამდებობის პირთა არჩევანი. წლიური კრება კანონიერია, თუ გამოცხადდა არა ნაკლებ წევრთა 10 პროც.; დანარჩენ კრებისთვის კი საკმაოა ხუთი ნამდვ. წევრის დასწრება. საზოგადო კრება შეიძლება იყოს როგორც ღია, ისე დახურულ პრეზიდიუმის შეხედულების თანახმად.

შენიშვნა 2. საბჭოს შეადგენენ: საზოგადოების თავმჯდომარე, მისი ამხანაგი, მდივანი, მოლარე, წიგნთსაცავის გამგე და ორი წევრი. სარევიზიო კომისია ორი კაცისაგან შესდგება. საბჭოსი და სარევიზიო კომისიის წევრები მათი კანდიდატებითურთ აირჩევიან წლიურ კრებაზე, 3 წლის ვადით (საბჭოსათვის 2 კანდიდატი და სარევიზიო კომისიისათვის ერთი).

შენიშვნა 3. როგორც საბჭოში ისე კრებებზე საკითხები წყდება ხმათა უბრალო უმეტესობით.

§ 7. საზოგადო კრებას ეკუთვნება შემდეგი საქმეები: საზოგადოების წევრთა და თანამდებობის პირთა არჩევანი, შეცვლა და შევსება წესდებისა, განხილვა და დამტკიცება საზოგადოების ანგარიშების; ამავე კრებაზე იმართება საფილოსოფიო მოხსენებანი და სხვ.

§ 8. საზოგადოება იურიდიულ პირს წარმოადგენს. მას აქვს საკუთარი ბეჭედი.

მგზავრის შენიშვნები

თითქმის ყოველ წელს გაზაფხულის პირას თბილისიდან ცოტა ხნით დასასვენებლად სოფლად მიხდებოდა გასვლა. წელსაც ძველებურმა ჩვეულებამ წამომკრა. სამგზავრო ბარგი-ბარხანა გამოვკარ და საჩქაროდ სადგურისკენ გავსწიე. სადგურის დარბაზი მთლად ხალხით იყო სავსე და მატარებლის მოლოდინში ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი თანამედროვე პოლიტიკაზე გაცხარებული ბაასობდენ. ბათომისკენ რაიმე მატარებელი ხომ არ მიდის,—შევეკითხე იქვე მდგარა შერთულ კაცს. „ჰე, მეგობარო, ბათუმში მატარებელი აღარ მიდის, ბათომი ჩვენი აღარ არის",—ნაღვლიანად მიპასუხა უცნობმა და სხვა მგზავრებში მიიმალა. მისმა პასუხმა ბევრი შავი აზრები ამირია თავში, რომ საქართველოს კოხტა და ლამაზი ბათომი აღარ დაამშვენებს და რომ მის დაკარგვით ჩვენ კუთხეს კარები ეხშობა... ბოლოს მატარებელს მივაშურე. ვაგონში თუმცა ხალხი ბლომად იყო, მაგრამ ყველა გაჩუმებული გამოიცქირებოდა, არც ერთს მათგანს კვლავინდებური სიხალისე არ ეტყობოდა.

მატარებელმა უცბად თბილისს გაგვაშორა; მე ფანჯრიდან გადვიცქირებოდი და ვსტკბებოდი ძველ ქართლის უმჭკნარი სიმშვენიერით. რამდენი მოგონება, რამდენი რამ არ წარიტაცებს სულსა და გულს. მაგრამ აი, გამახსენდა ქართლის უკანასკნელი ამბები, მომაგონდა ცხინვალის შემზარავი ქართველთა ჟლეტა, მთელი ოჯახების ციციშვილების, ვეზირიშვილების და მრავალ სხვა ნაცნობ ადამიანების დიდით პატარამდის ყელების დაჭრა და უცბად დიდად ბუნებამ შემზარა; მთელი ეს მხარე სისხლის მორევად მომეჩვენა, რადაც უცნაურმა შიშმა ამიტანა და იქვე ფანჯრის წინ სასოწარკვეთილი მივჯექი.

ვაგონში ერთ ადგილას, იქვე ჩემ გვერდით ორ მობაასეს მრავლად ხალხი შემოხვეოდა და გულ-მოდგინედ ყურს უგდებდა.

„შენ როგორ მელაპარაკები მაგას,—სახე გაწითლებული შეჰყვიროდა ერთი მეორეს, როდესაც თვითონ კარგად იცი, რომ სოფლის მართვა-გამგეობა დღეს გაყაჩაღებულ ხალხის ხელშია და როგორც უნდათ, ისე ატრიალებენ საქმეს; შენ ხომ კარგად იცნობ პეტრეს რაც იყო ძველად, მისგან სიყაჩაღის მეტი ვის რა გაუგონია, მაგრამ დღეს ის პირველი კაცია—კომისარს ეძახიან, უმისოდ ნაბიჯსაც ვერავინ გადასდგამს. ახლა თქვენ გკითხავთ, განა ავაზაკობაში გამოწვრთნილი ადამიანი სოფლის წეს-რიგზე იფიქრებს? ნუ თუ არ იციან, რომ „რაზბოინიკი" ყოველთვის „რაზბოინიკად" დარჩება და მას ხალხის საქმეს არავინ ჩააბარებს. სწორედ საკვირველია ჩვენი ნასწავლების საქმე, იძახიან ნასწავლები ვართ—ყველაფერი ვიცითო, მაგრამ ჩვენ კი რიგიანი ვერა-გვაჩვენეს რა და მათი ნასწავლობა რაღაშია, არ ვიცი!!! დაამთავრა უცნობმა და განცვიფრებით თავის მეზობელს ცქერა დაუწყო, თითქოს მისგან პასუხს ელოდა—თვალს არ აშორებდა. და როდესაც მეზობელმა თავი ჩაჰკიდა და პასუხის ნაცვლად მწარედ ღიმილი დაიწყო, გათამამებულმა უცნობმა კვლავ განაგრძო, „შენ იცი, როგორ მოჰკლეს ხალხისთვის მზრუნავი და პატიოსანი საზოგადო მუშაკი პავლე, მოჰკლეს ისე, როგორც ჰკლავდენ ნიკოლოზის ჟანდარმები და სტრაჟნიკები! პირად ინტერესების ანგარიშით კომისარმა დაიჭირა და როდესაც ერთი ადგილიდან მეორე ადგილას მილიციონერების თანხლებით გაგზავნა, უკანასკნელებმა, ვითომ იმ მიზეზით, რომ პავლე გაქცეოდათ, ცხელი ტყვიით გაუგმირეს მისი სპეტაკი გული! შენ გჯერა რომ პავლე მათ გაექცა? რა ჰქონდა გასაქცევი, ვის რა დაუშავა იმ კაცმა?! ეგ რად გნებავთ, ამას წინად ჩვენ სოფელში საერთო მიტინგზე ჩვენ ხალხის გამგეებს ერთი ოთხიოდე პირი წინ აღუდგა და უშიშრად ხალხის წყრომა განუცხადეს და მათ მაგივრად სხვების არჩევა მოითხოვეს. ხალხმა მათ მხარი დაუჭირა და გაიძახოდა „სხვები ავირჩიოთო", მერე რა მოხდა თუ იცით? ის, რომ მატრაკვეცა გამგეებმა მიტინგის დაშლით ხალხის სურვილი გააბათილეს, მაგრამ ჩვენმა „მოჰერნახულეებმა" ეს არ იკმარეს, სწორედ იმ ღამესვე სოფლად თოფის სროლა ასტეხეს და შეიქნა აურ-ზაური და იმის მიზეზით, რომ ვითომდა იარაღის საწყობს დაეცნენ, სწორედ ის ოთხი პირი, რომლებმაც მათ წინააღმდეგობა გაუწიეს მიტინგზე შუაღამისას მძინარეები ლოგინიდან წამოაყენეს და საპყრობილეში გამოამწყვდიეს! მერე თქვენ გგონიათ რომ იარაღის საწყობს მართლა ვინმე დაეცა? სრულებითაც არა, ეს მათივე ხრიკები იყო, რომ იმ ოთხი პირისთვის რაიმე მიზეზი მოედოთ და ხალხიდან განედევნათ, რომ უფრო თავისუფლად ეთარეშნათ! განა ამაზე უარესი საქციელი როდისმე გვინახავს? დაამთავრა უცნობმა.

უკვე საღამოს რვა საათი იქნებოდა რომ სურამში წამსვლელები სხვა მატარებელში გადავსხედით და მოუთმენლად ველოდით გამგზავრებას რომ ამ დროს უცბად შევიტყეთ რომ ორთქლმავალი არ ყოფილა და სანამ ღამის პირველ საათზე ბორჯომის მატარებელი უკან არ ჩამობრუნდება, ვერ წაგვიყვანენო.

— რა მიზეზია, ამხანაგო, რომ სურამში მატარებელი არ მიდის, შევეკითხე ერთ რკინის გზის მოსამსახურეს, რომელიც რკინის ლიანდაგის გაქანს მიჰყვებოდა და ჩაფიქრებული გამოიცქირებოდა; ორთქლმავალი არ არის, თუ?

— მიკვირს რომ ამხანაგს მიწოდებთ, მიმიგო რკინის გზის მოსამსახურემ—რანაირი თქვენი ამხანაგი ვარ, არ ვიცი, მე ერთი უსწავლელი რკინის გზის უბრალო მოსამსახურე და თქვენ კი ნასწავლი. სწორედ მაგ „ამხანაგობამ" დაღუპა ხალხი და მთლად წაახდინა, მაგან ჩაშალა ყველა დაწესებულებაში წესრიგი და ყველგან უწესოება გაამეფა. ამ „ამხანაგობის" მიზეზით ვერ მიდის თქვენი მატარებელი თავის დროზედ, რომ მემანქანეს უფროსის აღარ ესმის და თავის გაკაპასებულ სურვილებისამებრ ხალხს სტანჯავს და აწვალებს, ეს პირველი მოვლენა არ გახლავთ, ამისთანა შემთხვევები მრავლად ყოფილა და იქნება კიდეც, თუ ეს ამბები ასე გაგრძელდა. მოთმინების ძაფი გაგვიწყდა, სამსახური სამსახურს არა გავს და ცხოვრება-ცხოვრებას; ეხლა რომ მკითხოთ სადგურის უფროსი ვინ არის, ვერ გეტყვით, იმიტომ, რომ დღეს ერთია, ხვალ მეორე და ყველა თავთავის ჭკუაზე აწყობს საქმეს და ჩვენც უხერხულ მდგომარეობაში ჩავცვივდით. აღარ ვიცით ვის გავუგონოთ და რა როგორ გავაკეთოთ, ყველა ერთიმად უფროსები შეიქმნენ და უმცროსები აღარსად სჩანან, ამ ლამპების ამბავს,—მიმითითა მოპირდაპირე სადგურის ლამპებზე,—მხოლოდ ის ვალდებულება აწევს, რომ საღამოზე ლამპები დაანთოს და დილით ჩააქროს, მეტი ვალდებულება მას არ აწუხებს, მთელი დღე თავისუფალი დაიარება. წარმოიდგინეთ, ამას წინად საერთო კრებაზე განაცხადა ამ ვაჟბატონმა, რომ მას ჯამაგირი ერთი ათად მოუმატონ, საქმეს ვერ აუდის „ზამენიაუშჩი"-ც დაეითხოვა; [illegible] სადგურის ყარაულებმა და ყველამ მათ კრებამ სურვილი დაუკმაყოფილა. აქ მოსამსახურეს ვერ იპოვნით, რომ „ზამენიაუშჩი" არ ყავდეს! სწორედ გიახლით ძრიელ მიკვირს ამგვარ ადამიანების ამბავი, იძახიან ხალხისათვის თავი შევსწირეთ და კი არ ფიქრობენ, რომ მათი გულშემატკივრობა თავის ჯამაგირის მომატებას და მუშაობის შემცირებაში კი არ მდგომარეობს, არამედ, სანამ საქმე რიგიანად გამოკეთდებოდეს, სიმხნევის გამოჩენაში და გარჯა-საქმიანობაში, ჩვენ კი ყველა იმას ვცდილობთ ვის რა გავგლიჯოთ და რითი რა შევიმატოთ და ხალხის ცხოვრება როგორი მოეწყობა ამაზე ნაკლებად თუ ვინმე ფიქრობს! ათას ცხრაას ხუთ წელს რომ რუსეთმა რევოლუცია წააგო მაშინ, მახსოვს, რომელიღაც გაზეთში სწერდნენ, ხალხი არ არის თავისუფლებისთვის მომზადებულიო და ახლა რომ ვუკვირდები, მართლაც ვრწმუნდები, რომ ხალხს ჯერ დიდი შემზადება სჭირდება, რომ მინიჭებულ თავისუფლებას შეგნებულად მოეპყრას და ადამიანურად მოიხმაროს.

რკინის გზის მოსამსახურის ლაპარაკი, დროს ისე გაერბინა, რომ ვერც კი გავიგე — მატარებლისთვის ორთქლმავალი უკვე მოებათ და გამგზავრებასაც ეპირებოდა და იმ იმედით, რომ სოფლადაც გვყოლია ასეთი შეგნებული პირები, დამშვიდებუ-

ეროვნული

ლი ჩავჯექ მატარებელში და ამ წამში სურამში ამოვყავი თავი.

სურამში, რაც მან ქალაქის წოდება მიიღო არ ყოფილიყავი და ძლიერ მეინტერესებოდა შემეტყო, რა ცვლილება დაეტყო მას, ან ახალი მზრუნველი მამები როგორ ჰფიქრობენ მის მოწყობა-გამშვენიერების შესახებ.

კვირა დღე იყო. ქუჩები სავსე იყო სხვა და სხვა ჯურის ხალხით: სომხებით, ბერძნებით და აისორებით, რომლებიც წვრილად ჩაფიქრებული ჯაფ-ჯაფით დაიარებოდენ აქეთ-იქით უაზრო უკვლოდ. ხალხი ბლომად ირევა, მაგრამ ყველა რაღაც მოღუშული სახით გამოიცქირება, თითქო რაღაცის თქმა სწადია. ემჩნევა სიხალისე მხოლოდ მხარზე თოფ გადაგდებულ მილიციონერებს, რომლებიც ფაცა-ფუცით ქუჩაში დახტიან და ჟღლებ მოსილი ჯაფად რაღაც განკარგულებებს იძლევიან, თითქოს ისინი იყვნენ სოფლის თავიც და ბოლოც, მისი ბატონიც და პატრონიც. ქუჩები ისევ ძველებურად უსუფთაოდ მიგდებულია, ქალაქი გაუნათებელია.

— რას ფიქრობენ თქვენი ქალაქის მამები,—შევეკითხე ერთ ადგილობრივ მცხოვრებს, ქალაქზე არა ზრუნავენ?

— ხომ იცით,—მომიგო მოპასუხემ, ლაპარაკი ბევრი იქნება და საქმე კი ნაკლები; ვიცი რომ ქალაქის მმართველობა ყოფილ კლუბის შენობაში მოათავსეს, მოსამსახურეებიც ბლომად დაიქირავეს, დაუდგეს საწერ კალამი და გაუთავებლად რაღაც ქაღალდებს სწერენ, ჟღჟღლია წერას რომ მორჩებიან, შემდეგ საქმიანობას შეუდგებიან, მანამდისინ კი არც განათება გვექნება და არც სისუფთავე.

ამ დროს ქალ-ვაჟით დატვირთულმა ავტომობილმა დიდი ქუჩით გუგუნით გაირბინა. აქ მოსაუბრე კვლავ შევაჩერე.

— როგორა? ავტომობილიც გქონიათ? ვინ იყვნენ შიგ მსხდომნი?

ჩვენმა მმართველობამ ავტომობილი იშოვა,—მომიგო მოსაუბრემ, ყველ ამდროს თავის ცოლშვილით დასეირნობს ხოლმე ჩვენი გარნიზონის უფროსი! ეგ წინად ხაშურის რკის გზის ტელეგრაფის მოხელეთ გახლდათ, ახლა სურამის სადგურის მოლარედ დანიშნეს და თან სურამის გარნიზონის უფროსად ითვლება. როგორც ხედავთ, რასაკვირველია, უფლება აქვს ავტომობილით თავის ცოლშვილით გასეირნოს ხოლმე. საღამო ჟამს ავენილან გადავხედე ახლად წოდებულ სურამის ქალაქს. ქუჩები ჩაბნელებული იყო, ხალხი სახლებში შეყუჟულიყო და ქუჩაში ადამიანის სული არ ტრიალებდა. უცბად რაღაც მარტოობა ვიგრძენ. ბარგი-ბარხანას სწრაფად ხელი წამოვავლე და გათენებისას მატარებლით ისევ თბილისში მოვაშურე.

გ. შალიბაშვილი.

კორესპონდენცია

დუშეთიდან

თუ საქართველოს ზოგიერთი კუთხეებიდან ისმის ქართველი ერისთვის შეუფერებელი ამბები—მას ვერც დუშეთის მაზრა ასცდა. ამ ერთი თვის წინეთ სოფ. ქილურტში აზნაურ ფარეშიშვილებს ღამით მოუცვივდნენ,—ერთი მათგანი მოჰკლეს და მისი ცოლ-შვილი სძიმედ დასჭრეს. ამ უჩვეულო ამბავმა შეძრწუნება გამოიწვია მახლობელ სოფლების მცხოვრებლებში: „თავი მოგვჭრა ქართველ ხალხს საუკუნოთო", იძახდენ. შეუდგნენ დამნაშავე პირების ძებნას, რაიც ჩქარა აღმოაჩინეს; სოფელმა ჯერ იარაღი აჰყარა მათ, შემდეგ მთავრობას აცნობა. უნდა ითქვას რომ მთავრობისაგან არ იქმნა ზომები მიღებული, გარდა ჩვეულებრივი „პროტოკოლისა". ამ სამი დღის წინად სოფელმა ორივე დამნაშავე მოაკვლევინა თავიანთ კაცებს. სოფლის ასეთმა „განაჩენმა" თავზარი დასცა სოფლების ზოგიერთა მოღალატე ჯარის კაცებს: „როგორც თუ აზნაურების დახოცვისთვის ჩვენი ძმები მოჰკლესო", იძახდენ. შეიკრიბნენ და უნდოდათ სოფლის დასჯა; მაგრამ რადგან სოფელთან ვერა გააწყვეს რა,—დაიჭირეს „განაჩენის" აღმსრულებლები და თვითონ რომ ვერ გაასამართლეს მაზრის კომისარს გადასცეს. ისინი მოითხოვენ მათ დასჯას,—ხოლო სოფ. ქილურტი კი გაანთავისუფლეს. როგორც გვიგვია 20 ამ თვისთვის (ძველი სტილით) მაზრის კომისარი გაარჩევს მათ საქმეს და ვნახოთ რა ნაბიჯს გადადგამს ჩვენი მთავრობა: მშვიდობიან ცხოვრების მოყვარე გლეხებს გაუწონებს თუ უსაქმოდ გამოლეშვებულ ჯარის კაცებს.

აგრეთვანა ამბავს დუშეთის მაზრაში ხშირად აქვს ადგილი: სოფ. მაზანაურთაში აღნიშნულ მეორე დღეს როგორღაც ნიშე ბორიაძეს ჯარმა უწყალოდ აწამა ადგილობრივი მღვდელი; ჯერ სცემეს, მერე წყალში ჩააგდეს და ბოლოს ცოცხალ მკვდარს მღვდელმოქმედება შეასრულებინეს. ამ ამბის გამო მაზაღვთის მცხოვრებლები ელიან მთავრობის განკარგულებას, თორემ ჰილელ-ტისაგან არც ისინი ჩამორჩებიან.

ამ შემზარავ ამბებს რომ ვწერ, არავის ეგონოს, რომ აღწერილი სოფლის მცხოვრებლები ურწმუნონი იყვნენ; არა, ისინი არიან უეშმარიტი ქართველები—თუ არ მივიღებთ მხედველობაში თითო-ოროლა ცხოვრებისაგან მოწყვეტილ ნაძირალებს, რომელთა დასჯაც მთავრობის მოვალეობას შეადგენს. აი მაგალითად: ამ დღეებში გაზეთებში გამოქვეყნებული კანონი რომ წაუკითხეთ ხალხს შესახებ სკოლებში საღმრთო სჯულის არ სწავლებისა, ერთხმად დაიძახეს: ეგ მთავრობა კი არა, თათრები ყოფილან, რომ სჯულს გვართმევენო".

ერთ დიდ უბედურებას კიდევ შეადგენს სოფლებში რუსულ ენაზედ საქმეების წარმოება. წინედ თუ სამამასახლისო ათასი თუ მეტი კომლისაგან შედგებოდა—გადაუყვეთ 100-ან 200 კომლს საკუთარი კომისარი ჰყავს კანცელარიით. მათ საქმეებათ მწერლის დაქირავება 200 მ. თუ მეტში. ამაზე მეტი კიდევ: ვიცით რომ სოფლად იმდენი ნასწავლებიც არ არიან, რომ მისამართი დასწერონ, არამც თუ „პროშენიები". ამიტომ თითქმის ნახევარ მაზრას უხდება სიარული ქ. დუშეთში. საწყალი სოფლის ხალხი ხშირად ვერ ჰპოვებს მწერლებთან მისვლას (ფუშავ ისინი საამაგნებით მიიღებდენ), იძულებული ხდება მიმართოს „ამდვკატ მაგრატა სოშეხს", რომელიც მდაბიოდ სცხოვრობს. ეს უკანასკნელიც მთელი ქალაქის მცხოვრებლების წინ—მადიანად ატყავებს საწყალ ქართველ ხალხს. ერთის სიტყვით, დიდი შემწეობა იქნებოდა ხალხისათვის ქართულ ენაზედ საქმის წარმოება. არ დამავიწყდება ერთი შემთხვევა სოფლად: ერთხელ მაშინდელ აძულებულ „ავტონომიის" მნიშვნელობას ვუხსნიდი ხალხს. რომ დავათავე ერთმა გლეხმა შემომყვირა: რასა ბრძანებ, ბატონო, ჩვენ ეგ ანტონომია ბატონყმობა გვეგონა", თურმე ეგ საწყალი ხალხისთვის ყოფილა, თორემ ჩვენი ბატონიანთ მიშა ხომ ფრანცუზულსაც წყალივით ლაპარაკობსო".

ერთის სიტყვით, სოფელს ჯერ კიდევ ბევრი წყლული აქვს და მის განკურნებას როდის ეღირსება, ღმერთმა უწყის!

დუშელი მოქალაქე.

იყიდება
ჯვაროსნობის დროის
იშვიათი
ხმალი
იკითხეთ: ქართულ კორპუსის შტაბის ცხენოსანთა რაზმელი თადეოზ კახიშვილი.

თბილისის სახელმწიფო საზაფხულო შენობაში
მიხეილის პროსპ.
ქართული ოპერეტა.
პარასკევს, 31 მაისს, ქართული ოპერეტის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
არშინ-მალ-ალან
4 მოქ. გაჯიბეკოვისა, თარგ. გიგოშვილისა.
ბილეთები იყიდება კასაში. 2—1 დასაწყისი 8 საათზე.

თბილისის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის მრეწველთა ფრაქციის წევრთა
წინასწარი კრება
დანიშნულია პარასკევს 31 მაისს (ახალის სტილით) საღამოს ექვს საათზე საურთიერთო ბანკის შენობაში. სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი.
კავშირის წევრებს-მრეწველებს სთხოვენ კრებას დაესწრონ.
2—1633—1

ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლად მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში, (ერევანის ქუჩა, 11, საკუთარი სახლი) დილის 11—3-მდე

ქართული კლუბი
ხუთშაბათს 30 მაისს (ახალი სტილით) 1918 წ. ქართულ ძველი დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი ოპერეტა
არშინ მალ-ალან
ოპერეტა ჰ. ჯიბეგოვისა, თარ. ვანო გიგოშვილისა.
ასკარის როლს შეასრულებს მ. ჯანელიძე. სულთან ბეგი ი. რეხვიაშვილი. სულეიმანი. კ. ჩაჩავა. ველი ნ. მიტრეველოვი. გულჩორა მ. გიგოშვილისა. ასია მ. მარგველაშვილი. ხალა თ. ფერაძე. თელი ა. არაჯვიძე.
ბილეთები კასაში იყიდება დასაწყისი საღ. 8 ნახევარ ს.
2—1631—4

სრულ უფლებიანი ქართული ქალ-ვაჟთა
გიმნაზია
მასწავლებელთა კოლეგიისა.
მისაღები გამოცდები დაიწყება ივნისის 3-ს II და III განყოფილებებში, I, II, III, IV, V და VI კლასებში. თხოვნები მიიღება გიმნაზიის კანცელარიაში ყოველ დღე დილის 10 ს.—3 ს. ალექსეევის ქუჩა, № 17. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.
3—1630—2

ექიმი
მ. ი. ზანდუკელი
ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალო ექ. ნ. მ. კაშკინის იღებს შინაგან და ნერვების ავადმყოფთ (ჰსიხოტერაპით) სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკევობით ნაშუადღევის 3 ს.—5 საათამდე. ოლღას ქუჩა № 22.

ექიმი
დონხინი
პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი დიდი ხნის ასისტენტი იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს
დილის 10—12 ს. საღ. 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპ. 76. (საიკინის კბილის საქიმო).
ტელეფონი 7—38.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
მე-III რაიონი
აცხადებს თავის წევრთა და თანამოაზრეთა საყურადღებოდ, რომ ჩაწერა ახალ წევრებისა და სხვა და სხვა ცნობები მიიღება შემდეგ ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 5—7 საათამდის [illegible] ქუჩა, № 4 მესამე მომრიგებელ მოსამართლის დარბაზში ვ. ყიფიანთან.
4—2

საქართველოს ეროვ.-დემოკ. პარტიის ქ. თბილისის
ორგანიზაციის გამგეობისაგან
ქ. თბილისის კომიტეტის დადგენილებით მოხდა პარტიული საქმის რეორგანიზაცია ქალაქში. ნაცვლად წინანდელი დანაწილებისა უბნებად, რომელიც დღეიდან მოსპობილად ითვლება, ქ. თბილისი დანაწილებულია ოთხ რაიონად სახელდობრ:
I რაიონი—მტკვრის ზევითა მხარე საბურთალოდან და ვაკიდან დაწყებული მოსკოვის ქუჩამდე და ვერის დაღმართამდე.
II რაიონი—მტკვრის ზევითა მხარის დანარჩენი ნაწილი—მთაწმინდა, სოლოლაკი და სხვ.
III რაიონი—მტკვრის ქვევითა მხარე ვორონცოვის ძეგლიდან მოკიდებული დიდუბემდე და ნაძალადევამდე.
IV რაიონი—მტკვრის ქვევითა მხარე ვორონცოვის ძეგლიდან ორთაჭალამდე.
თბილისის მცხოვრებ პარტიის წევრებს ევალებათ დაუყოვნებლივ მიიღონ სათანადო სარაიონო კომიტეტისაგან საწევრო ბილეთები, ურომლისოდაც პარტიულ კრებებზე დასწრება აეკრძალებათ.
თბილისის კომიტეტის ბიურო იმყოფება მთავარ კომიტეტის ბინაზე, (სასახლის ქუჩა, № 5, ტელეფ. 15—73).
ბიურო ღიაა ყოველ დღე, 10—2 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
ქალაქ თბილისის
კომიტეტის
ბიურო იმყოფება მთავარ კომიტეტის ბინაზე (სასახლის ქ., № 5, ტელ. 15—73).
ბიურო ღიაა ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.
თბილისში მცხოვრებ პარტიის წევრებს ევალებათ მიიღონ სათანადო საუბნო ორგანიზაციებისაგან საწევრო ბილეთები, ურომლისოდაც პარტიულ კრებაზე დასწრება აეკრძალებათ.

სამკურნალო
სამხედრო სპეციალისტ-ექიმების—გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
დიდ ვანქის ქუჩა № 8. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელ. № 481.
ექიმი ასპისოვი—ყელის, ყურის და ცხვირის. ყოვ. დღე 12—1 საათამდის.
ექ. ახმეტელიანი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 11—12 ს.
ექ. ბოლდაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 10—11 ს.
ექ. ჩუდნოვსკი—ნერვების, ორშ., ოთხშ. და პარასკეობით 12—1 საათ.
ექ. ერმოლაევი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 1—2 ს.
ექ. ბოკოვსკი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 12—1 ს.
ექ. ვაზიაკო—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველ დღე საღ. 3—4 ს.
ექ. სუროვცოვი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 4—5 ს.
ექ. ჰერაკ—თვალების ავადმყოფობის. ორშ., ოთხშ. და პარასკეობით 2—3 ს.
ექ. ივანოვი—თვალების ავადმყოფ. სამშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით 2—3 ს.
ექ. ყალამქაროვი—ქალთა და საშვებით. ყოველდღე 1—2 ს.
ექ. ნოვიცკი—ქალთა და საშვებით. ყოველდღე 2—3 საათ.
ექ. ქალი იოსელიანი. ქალთა და საშვებით. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 11—12 ს.
ექ. ქალი ფირალოვი—ქალთა და საბავშვო სამშაბათობით, ხუთშაბათობით შაბათობით და კვირაობით. 11—12 ს.
ექ. შამაში—ქირურგიული (დოსტაქარი). ყოველდღე 11—12 საათზე.
ექ. ფირალოვი—ქირურგი. ყოველდღე $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე.
ექ. ბარნაშა-ტროცკაია—სტომატოლოგ ავადმყოფ. ყოველდღე 2—3 საათ.
ექ. ცანდერი—სტომატოლოგ ავადმყოფ. ყოველდღე 4—5 საათ.
ექ. ძიძილია—კანის და ვენერიულ ავადმყოფობის. ყოველდღე 12—1 ს.
ექ. არხიპოვი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფობის 4—5 საათ.
ქალის ექ. ალიხანოვი—ყოველდღე 10—12 საათ.
ქალის ექ. ნურადოვი—ყოველდღე 3—5 ს.
ოპერაციები მიიღებიან, კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ანალიზი, ჰიპნოზი, მოსამსახურეთა და ძიძების გასინჯვა, სათვალეების შერჩევა.
ფასი დარიგებისათვის 1 მ. 50 კ. 100—90

მარტის 20 გაიხსნა ახალი
სამკურნალო
[illegible] ავადმყოფთათვის
ექიმ ი. მ. მძინარიშვილის და დ. მ. ნაზარეთიანცის
საავადმყოფოში იღებენ კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნური კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და („კიროჩნის" ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კიროჩნის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.
ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.
დარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

სამკურნალო კაბინეტი ექიმ
ალექსანდრე დავითის ძის
ქუთულიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებისა და ბავშვებისთვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნოვის" პირდაპირ ტელეფონი 14—28.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანტონის ძე
ქალანდარიშვილი
უფროსი ექიმი თბ. [illegible]
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებით ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.
ტელ. № 17—21.

ექიმი
გ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებისას სპეციალურად. იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „ბოს-მონდის" პირდაპირ.
თ—1018—45

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.
მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.
ა—1536—26

ექიმი
დიმიტრი (რამინ) იოსების ძე
ჟორდანია
სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა. გორის ქუჩა № 6, ლიცეუმი.
ტელეფონი 14—37
1ო—960—54

სტამბა „ცხოვრება" კალანდაძისა გამზეულის შესახვევი № 4.